პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 152 (5182)

1974 წ. 3 აგვისტო, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სად და როდის

## სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის გრაფიკი

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება, ტარდება რამდენიმე ეტაპად. I ეტაპი (1974-1975 წწ.) მოიცავს მასობრივ შეჯიბრებებს სპორტის ცალკეულ სახეობებში და სპარტაკიადას მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ეს შეჯიბრებები ჩატარდება საამქროებში, განყოფილებებში, ჯგუფებში, ბრიგადებში, ფაკულტეტებზე, ფიზკულტურულ კოლექტივებსა და დოსააფის პირველად ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებში, სასწავლო დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში და ქვეგანაყოფებში, სპორტულ და სპორტტექნიკურ კლუბებში, მშრომელთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

II ეტაპი (1974-1975 წწ.) გულისხმობს რაიონულ და საქალაქო სპარტაკიადებს მშდ კომპლექსის მრავალჭიდსა და სპორტის ცალკეულ სახეობებში.

III ეტაპი (1975 წლის მარტი-ივნისი) — ესაა ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების, რსფსრ-ს ზონალური, მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადები.

IV ეტაპი, რომელიც მოიცავს 1975 წლის ივნის-აგვისტოს, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალური ნაწილია. იგი, ამავე დროს, შეამოწმებს საბჭოთა სპორტის მზადყოფნას ოლიმპიადისთვის.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალი ჩატარდება არა მარტო მოსკოვში, როგორც სხვა დროს, არამედ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

მოსკოვი მიიღებს სპორტის 8 სახეობის წარმომადგენლებს (წყალბურთი, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, აკადემიური ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეებით).

კიევში ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის 4 სახეობაში (ხელბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ცხენოსნობა და ვაჟთა კალათბურთი).

შეჯიბრებები ორ-ორ სახეობაში ჩატარდება მინსკში (ფარიკაობა, ტყვიის სროლა), რიგაში (ქალთა კალათბურთი, ჭადრაკი), ტალინში (აფროსნობა, ჩოგბურთი), თბილისში (სამბო, სატრეკო ველოსპორტი).

დანარჩენი სახეობები განაწილებულია შემდეგ ქალაქებზე: ტაშკენტი (კრივი), აშხაბადი (მშვილდოსნობა), ბაქო (ქალთა ფრენბურთი), დუშანბე (წყალში ხტომა), ერევანი (თანამედროვე ხუთჭიდი), ლენინგრადი (ვაჟთა ფრენბურთი), კიშინიოვი (ძიუდო), ფრუნზე (სასტენდო სროლა), კაუნასი (საგზატკეცილო ველოსპორტი), ვილნიუსი (ძალოსნობა), ალმა-ათა (კლასიკური ჭიდაობა).

VI სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების გრაფიკი:

კრივი. 18—30 მარტი, ტაშკენტი.
მშვილდოსნობა. 7—12 მაისი, აშხაბადი.
წყალბურთი. 14—23 მაისი, მოსკოვი.
ფრენბურთი (ქალ.). 14—26 მაისი, ბაქო.
წყალში ხტომა. 24 — 26 მაისი, დუშანბე.
თან. ხუთჭიდი. 30 მაისი — 5 ივნისი, ერევანი.
ცურვა. 3—9 ივნისი, მოსკოვი.
ფარიკაობა. 7—15 ივნისი, მინსკი.
კალათბურთი (ქალ.). 14—27 ივნისი, რიგა.
ხელბურთი. 18—23 ივნისი, კიევი.
აფროსნობა. 20 — 29 ივნისი, ტალინი.
ფრენბურთი (ვაჟ.). 26 ივნისი — 8 ივლისი, ლენინგრადი.
სამბო. 2—8 ივლისი, თბილისი.
ძიუდო. 3—6 ივლისი, კიშინიოვი.
სასტენდო სროლა. 4—7 ივლისი, ფრუნზე.
ველოსპორტი (გზატკ.). 4—8 ივლისი, კაუნასი.
თავისუფალი ჭიდაობა. 4—10 ივლისი, კიევი.
ტანვარჯიში. 4—11 ივლისი, მოსკოვი.
ძალოსნობა. 4—12 ივლისი, ვილნიუსი.
აკად. ნიჩბოსნობა. 7—17 ივლისი, მოსკოვი.
ტყვიის სროლა. 7—12 ივლისი, მინსკი.
კლასიკური ჭიდაობა. 8—14 ივლისი, ალმა-ათა.
ცხენოსნობა. 9—16 ივლისი, კიევი.
ჩოგბურთი. 9—24 ივლისი, ტალინი.
ველოსპორტი (ტრეკი). 10—16 ივლისი, თბილისი.
კალათბურთი (ვაჟები). 11—23 ივლისი, კიევი.
ჭადრაკი. 14—26 ივლისი, რიგა.
ბაიდარა და კანოე. 18 — 23 ივლისი, მოსკოვი.
მძლეოსნობა. 26—31 ივლისი, მოსკოვი.

# ფიზკულტურა ერთგული თანაშემწეა

სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი საბჭო ამ დარგის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურის დანერგვის ნამდვილ შტაბად იქცა. ამ მუშა-მოსამსახურეთა თითქმის მესამედზე მეტი მონაწილეობს მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადებასა და ჩაბარებაში, ხოლო ყოველი მეათე უკვე ახალი კომპლექსის ნიშნოსანი გახდა. საბჭოს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ქარხნებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელებთან, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. სწორედ საბჭოს ამ ნაყოფიერი მუშაობის შესახებ იყო ლაპარაკი 31 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე.

ყოველ საწარმოში, სამინისტროს ყოველ სასწავლებელში აქტიურად მუშაობენ მშდ კომპლექსის კომისიები, რომლებიც დიდ პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ საქმიანობას ეწევიან. ბევრ ორგანიზაციაში სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმებში, კოლექტიურ მოლაპარაკებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებში ფიზიკური კულტურის განვითარების კონკრეტული მაჩვენებლებიცაა შეტანილი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საბჭოს სხდომებზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშებით გამოვიდნენ 15 დიდი ქარხნის ხელმძღვანელები. მასობრივი ფიზკულტურის განვითარების დიდ მნიშვნელობას მოწმობს მთელ რიგ საწარმოებში ჩატარებული გამოკვლევები. მაგალითად, ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათსაშენებელ და ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ორთქლმავალსაშენებელ ქარხნებში დადასტურდა, რომ იმ მუშათა შრომისნაყოფიერება, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ სპორტში, ბევრად მაღალია.

კოლეგიამ იმსჯელა ქ. ხარკოვში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით მასობრივი შეჯიბრებების ჩატარების საკითხზე. გამოირკვა, რომ საქალაქო სპარტაკიადის პროგრამაში, რომელიც რატომღაც შვიდი სახეობით შემოფარგლეს, მძლეოსნობა შეტანილი არ იყო. ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივი სტარტებისთვის იმდენად ცოტა დრო იყო გამოყოფილი, რომ მონაწილეთა რიცხვი შეიზღუდა და შეჯიბრების შედეგებიც დაბალი აღმოჩნდა. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ თავის დადგენილებაში დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი სასპარტაკიადო შეჯიბრებების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

* * *

„სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდება მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირს, სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტს ი. ატიუხინს.

* * *

სპორტის დამსახურებული ოსტატები გახდნენ სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების წევრები, მსოფლიო ჩემპიონები — ა. ბოლშაკოვი, გ. მილოსერდოვი, ი. პავლოვი და ა. სალნიკოვი, ბიატლონისტი ი. კოლმაკოვი, ავტომობილისტები — ვ. ბუბნოვი, ე. ლივშიცი და კ. გირდაუსკასი.

* * *

ყოველწლიური პრემიები და ოქროს მედლები ფიზკულტურისა და სპორტის დარგში საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომისთვის მიენიჭათ, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს ნ. ოზოლინს და პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატს გ. კრასნოპევცევს.

# კომკავშირის მილოცვა

### საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი შეტანილია „კომკავშირული დიდების მატიანეში“

საბჭოთა კალათბურთელები, რომლებმაც 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს, 31 ივლისს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში იყვნენ სტუმრად. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა სპორტსმენებს მიულოცა ჩემპიონობის მოპოვება და ახალ-ახალი წარმატებები უსურვა.

კალათბურთელთა გუნდი შეტანილია „კომკავშირული დიდების მატიანეში“. ყველა მოთამაშე დაჯილდოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით. კალათბურთელთა სასახელო რაზმის კაპიტნის მოდესტას პაულაუსკასის გვარი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში ჩაიწერა.

— გამარჯვება ღირსსახსოვარ თარიღს, კომკავშირისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების 50 წლისთავს მივუძღვენით, — თქვა გუნდის კომორგმა ა. ბოლოშევმა. — მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიის ნაკრებთან დავმარცხდით, ჩვენ გვწამდა გამარჯვებისა, რადგან გუნდში მეგობრული და ძლიერი კოლექტივი გვაქვს შექმნილი.

ნაკრების კომორგმა საბჭოთა კალათბურთელთა მიერ მოპოვებული „მსოფლიო თასი“ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუზეუმს გადასცა.

# გაიმარჯვეს საბჭოთა სტუდენტებმა

ტისაიდში (ინგლისი) სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიო პირველობის დასკვნითი, IX ტურის შეხვედრები უაღრესად დაძაბულად წარიმართა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს ჰოლანდიელებს (3:1) და 26,5 ქულით I ადგილი დაიკავეს. ვაჰანიანმა მოუგო მარკუს, პალატნიკმა — ბალონოს. ბალაშოვ—ტიმანისა და ბელიავსკი — ბერსმას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

II-III ადგილების ბედი უნგრეთისა და ინგლისის გუნდების მატჩში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ შეხვედრა არ დამთავრებულა: ერთი პარტია გადაიდო. უნგრელებს 21,5 ქულა აქვთ, ინგლისელებს — 21. საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი აქვთ ამერიკელებსაც — 19,5 ქულა და 3 გადადებული პარტია.

ამრიგად, საბჭოთა სტუდენტებმა მეთხუთმეტედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. გუნდის თითოეულმა წევრმა ღირსეული წვლილი შეიტანა კოლექტივის გამარჯვებაში.

22 წლის ერევნელმა დიდოსტატმა რ. ვაჰანიანმა 10 ქულა მოაგროვა 11 შეხვედრაში. პირველობის ისტორიაში მანამდე მსგავსი შედეგისთვის არავის მიუღწევია. საბჭოთა გუნდში თამაშობდნენ, აგრეთვე, დიდოსტატი ი. ბალაშოვი (მოსკოვი), ჭაბუკებს შორის მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. ბელიავსკი, სსრ კავშირის თასის მფლობელი, საერთაშორისო ოსტატი ო. რომანიშინი (ორივე — ლვოვი), ოსტატები ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) და ს. პალატნიკი (ოდესა).

საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელმა ოსტატმა ა. ნიხოვსკიმ სატელეფონო? — საგდესის კორესპონდენტს უთხრა:

— ბრძოლა დაძაბული და მწვავე იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის ფინალზე, სადაც ინგლისისა და უნგრეთის გუნდებთან ყაიმის შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა ზედიზედ მოიგო შეხვედრები. დასავლეთში, სოციალისტურ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ბოლო ხანს ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოჩნდა. ზოგი ამ თამაშს ბავშვობიდან მისდევს და ცდილობს კარგად დაეუფლოს მას. ასე იქცევიან, მაგალითად, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975



სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა შეუმჩნევლად ახლოვდება. საბჭოთა ქვეყნის ამ ყველაზე მასობრივი და დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის კარგა ხანია ემზადებიან სპორტსმენები, მწვრთნელები... ვალში არც საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატები რჩებიან. ისინი სიონში გადიან საწვრთნელ შეკრებას.

სურათზე: საქართველოს ნიჩბოსანი ქალები წვრთნის დროს.

ლ. მაღრაძის ფოტო.

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### უმაღლესი ლიგა

31 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის II წრის I ტურის მატჩები.

„დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 2:0. ლიდერთა ამ შეხვედრაში კიეველებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ყველაზე უფრო სერიოზული პრეტენზიები აქვთ ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. მათ არავითარი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს და პირველ ტაიმშივე გაიტანეს 2 ბურთი მის კარში (ტროშკინი, ბლოხინი). მეორე ტაიმში მასპინძლებმა მოუკლეს ტემპს, თუმცა გამარჯვება იოლად შეინარჩუნეს.

„ქაირათი" — „არარატი" 0:0. ანგარიში არ გახსნილა, ორივე მხარეს კი საამისოდ მრავალი შესაძლებლობა ჰქონდა. განზრახ უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ერევნელთა ახალგაზრდა მცველი გევორქიანი.

„ზენიტი"—ცსკა 0:0. გოლი არც ამ მატჩში გატანილა. გაფრთხილება მიეცა ცსკა-ს მცველს ისტომინს.

„ტორპედო" — „სპარტაკი" 3:1. წარმატებით ჩატარებულ შეხვედრათა სერიის შემდეგ სპარტაკელებმა სუსტად ითამაშეს (ეს განსაკუთრებით ეხება მეკარე პროხოროვს) და დამარცხდნენ. 2 ბურთი გაიტანა ნიკონოვმა, 1 — ესკოვმა, 1 გოლი გაქვითა — პისკარიოვმა.

„ჩერნომორეცი" — „ნისტრუ" 5:1. მატჩის ბედი არსებითად გადაწყდა შესვენებამდე, როცა მასპინძლებმა 4-ჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. თავი გამოიჩინა ოდესელთა ნახევარმცველმა მაკაროვმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა.

„კარპატი" — „ზარია" 0:0.

„დნეპრი" — „შახტიორი" 1:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 16 | 9 | 6 | 1 | 25—8 | 24 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 16 | 5 | 10 | 1 | 18—17 | 20 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 16 | 6 | 7 | 3 | 17—12 | 19 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 16 | 6 | 7 | 3 | 25—21 | 19 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 5 | 8 | 3 | 20—17 | 18 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 16 | 6 | 6 | 4 | 15—13 | 18 |
| „არარატი" (ერევანი) | 16 | 5 | 6 | 5 | 17—15 | 16 |
| „პახთაქორი" (ტაშკენტი) | 16 | 5 | 6 | 5 | 23—23 | 16 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 16 | 5 | 6 | 5 | 15—17 | 16 |
| „ქაირათი" (ალმა-ათა) | 16 | 4 | 7 | 5 | 23—22 | 15 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 16 | 4 | 7 | 5 | 14—16 | 15 |
| ცსკა | 16 | 3 | 7 | 6 | 19—23 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 3 | 7 | 6 | 13—21 | 13 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 16 | 2 | 8 | 6 | 12—17 | 12 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 16 | 3 | 5 | 8 | 18—23 | 11 |
| „ნისტრუ" (კიშინიოვი) | 16 | 3 | 5 | 8 | 23—32 | 11 |

### II ლიგა III ზონა

1 აგვისტოს გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩები. ამ შეხვედრათა შესახებ გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები.

#### „დინამო" (ბათუმი) — „ურალანი" (ელისტა) 4:0

მას შემდეგ, რაც ბათუმის დინამოელები ლიდერობას დაეუფლნენ ზონაში, მათს წინაშე ახალი ამოცანები დაისახა. საჭიროა დამაჯერებელი, სტაბილური თამაში მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად, მით უმეტეს, რომ ლიდერის წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მობილიზებით იბრძვის ხოლმე.

ასე ჩაატარეს ბათუმელებმა თავიანთი მორიგი კალენდარული მატჩი „ურალანთან". მათ პირველივე წუთებიდან აგრძნობინეს მეტოქეს, რომ არავითარ შეღავათს არ მისცემდნენ და უკვე მე-5 წუთზე ჩელებაძემ თავისი შორეული რეიდი ზუსტი და ძლიერი დარტყმით დაამთავრა —1:0. გავიდა მცირე ხანი და ახლა ქიქავამ დაძლია რამდენიმე მოპირდაპირე მცველის წინააღმდეგობა, რის შედეგადაც სტუმრების კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

უკვე ამ პერიოდში ნათელი იყო, რომ ლიდერი მორიგ გამარჯვებას ჩაიწერდა თავის აქტივში, ვინაიდან მას ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლო კიდევ უფრო გაეზარდა ანგარიში. კერძოდ, მე-20 წუთზე გარღვევაზე გასული ჭეიშვილი აკრძალული ილეთით გააჩერეს „ურალანის" მცველებმა, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. ქორიძემ ძელს მოახვედრა ბურთი.

სულ რამდენიმე იშვიათი, შემთხვევითი ხასიათის კონტრშეტევის გარდა მეორე ტაიმიც მთლიანად ბათუმელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. 65-ე წუთზე ჭეიშვილი-მჟავანაძე-ჩელებაძის კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა და შეხვედრის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე, ჩიტაურმა შორი მანძილიდან მეოთხედ აიძულა ელისტელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთათვის დანიშნული პრიზები გადაეცათ გ. ჩიტაურს („დინამო") და გ. მოპაჩინკის („ურალანი").

**ო. მურვანიძე.**

#### „დილა" (გორი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0

სტადიონზე დამსწრე მრავალრიცხოვანი მაყურებელი ახალ წარმატებას მოელოდა გორელ ფეხბურთელთაგან. მას შემდეგ, რაც „დილამ" ასე გააძლიერა თამაში და გაიუმჯობესა საერთო სატურნირო მდგომარეობა, ეს მოლოდინი არ იყო საფუძველს მოკლებული, მაგრამ მასპინძლებმა ოდნავ უფრო უარესად ითამაშეს, ვიდრე ადრე და ქულაც დაკარგეს, თუმცა შეხვედრის მსვლელობაში არაერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღწიათ წარმატებისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბურჯანაძის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის 50-ე წუთზე დინამოელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულება მიანდეს ხანიშვილს, მან კი ბურთი პირდაპირ ხელებში მისცა მეკარე ჰასანოვს.

ანგარიშის გახსნა შეეძლო ზერიკაშვილსაც (ეს უკვე პირველ ტაიმში), რომელმაც საუკეთესო შესაძლებლობიდან ააცილა ბურთი კარს.

საერთოდ, უნდა ითქვას, სტავროპოლის გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თავგამოდებით იბრძოლა ქულის გადასარჩენად, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელი უხეშობდა და ხშირად არღვევდა თამაშის წესს.

საბოლოოდ, „დილა" იძულებული იყო დასჯერებოდა ფრეს.

**ი. თევდორაშვილი.**

#### „გურია" (ლანჩხუთი) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 1:1

მეტოქეები სატურნირო ცხრილში ახლო მეზობლები იყვნენ, რაც, ბუნებრივია, მეტ ინტერესს და დაძაბულობას მატებდა შეხვედრას. მაგრამ მასპინძლებმა პირველ ტაიმში თავიანთ შესაძლებლობაზე დაბლა ითამაშეს და საშუალება მისცეს სტუმრებს ორგანიზებულად დაეცვათ თავი, ამასთან კარგად მოქმედებდა „ხიმიკის" მეკარე ფედულოვი, რომელმაც რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთი აიღო.

ანგარიში გაიხსნა 35-ე წუთზე. კუთ[illegible] ბურთს მი[illegible] ცენტრალურმა მცველმა ბე[illegible] მეკარე მოხეშვილი შეფერხდა და გაუშვა გოლი — 1:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გაცილებით უფრო აქტიურად თამაშობდნენ, ნაჭყებიამ გაათანაბრა ანგარიში და ამის გარდა ბურთის გატანა შეეძლოთ ტროიანს, გაბესკირიას და სხვებს. მოწინააღმდეგეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

**ი. ებრალიძე.**

#### „დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (ვოლოგდა) 1:0

ზუგდიდელი ფეხბურთელები მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებენ თამაშს და მასთან ერთად — თავიანთ სატურნირო მდგომარეობასაც. ძლიერად, მონდომებით ითამაშა გუნდმა ზონის ერთ-ერთ ლიდერთან — ვოლოგდის „დინამოსთან" და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია.

მასპინძლებმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღეს. მე-10 წუთზე ალმასიას მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, შემდეგ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს გადელიამ, ლომსაძემ, იმავე ალმასიამ. კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ვოლოგდელებსაც, მაგრამ არხიპოვის მიერ დარტყმული ბურთი აცდა მიზანს.

შესვენების შემდეგ არ დამცხრალა ორმხრივი იერიშები, ბურთი ხან ერთ კართან იყო, ხან მეორესთან და მაშინ, როცა თამაშის დასასრულს ბევრი აღარაფერი აკლდა, ალმასია-გადელიას კომბინაცია დამთავრდა ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით — 1:0. ზუგდიდელებმა შეძლეს ამ ანგარიშის შენარჩუნება.

საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები ერგოთ ვოლოგდელ შალიმოვს და ზუგდიდელ ზვანბაიას.

**ბ. ალშიბაია.**

#### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ისკრა" (სმოლენსკი) 1:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ბრიანსკი) 1:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 0:0, „ლორი" (კიროვაკანი)—„დინამო" (კიროვაბადი) 0:0.

---

● მოსკოვი, 1 აგვისტო. ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში მოსკოველმა ტ. რატნიკოვამ და ოდესელმა ი. გუბარევმა სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. პირველმა 876 ქულა დააგროვა პნევმატური შაშხანის სროლაში (40 გასროლა). მეორემ მსხვილკალიბრიანი შაშხანით შეჯიბრებაში (3 მდგომარეობიდან) 568 ქულით I ადგილი დაიკავა.

● დონის როსტოვი, 1 აგვისტო. აქ დამთავრებულ საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვება იზეიმეს რსფსრ-ს თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატებმა — 14.985. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა კრასნოდარელმა ო. ბულგაკოვმა — 5.306. სტუმრებმა — უნგრეთისა და ფინეთის წარმომადგენლებმა — შესაბამისად X (12.629) და XII (12.340) ადგილები დაიკავეს. შეჯიბრებაში გამოდიოდა სსრ კავშირის 15-მდე გუნდი.

● სოფია, 1 აგვისტო. დღეს აქ საზეიმო ვითარებაში დაიხურა ბულგარეთის IV სპარტაკიადა, რომელიც ამ ქვეყნის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავს მიეძღვნა. საერთო გუნდური გამარჯვებისთვის განკუთვნილი მთავარი ჯილდო არმიელმა სპორტსმენებმა მოიხვეჭეს.

## მძლეოსნურ მერიდიანებზე

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო. აქ, სამეფო სტადიონზე, ჰოეწყო შვეციისა და დიდი ბრიტანეთის გუნდების სამატჩო შეხვედრა, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 107:102. საინტერესოდ წარიმართა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა, რომელშიც მონაწილეობდნენ შვედი დ. გლანსი და სტუმარი ჯ. დევისი. რბენა მოიგო გლანსმა — 8.24,02. ინგლისელის შედეგია 8.28,09.

რომი, 1 აგვისტო. იტალიის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე დამთავრდა ამ ქვეყნის ჩემპიონატი. აღსანიშნავია 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული პ. მენეას დრო—20,35, აგრეთვე, ე-დ. ფორნოს მიერ სიმაღლეზე ხტომაში ნაჩვენები შედეგი — 217.

ჰანოვერი, 1 აგვისტო. გფრ-ის ჩემპიონატში ბ. ჰერმანმა 400 მეტრის დაფარვას 45,1 წამი მოანდომა. მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელმა ჰ. ბაუმჰარტნერმა სიგრძეზე ხტომაში 8 მ. აჩვენა.

ოსლო, 1 აგვისტო. მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაში 400 მეტრზე თარჯრბენში I-II ადგილები მოიპოვეს ამერიკელებმა — რ. მანმა (49,0) და ჯ. ბოლდინგმა (49,3), ჩეხოსლოვაკიელი მ. კოდეიში მესამე იყო — 49,7. ს. რიდიკმა (აშშ) 200 მეტრი 20,7 წამში დაფარა.

## ტყუპი ძმების ბენეფისი

ჰაპარანდა, 1 აგვისტო. შვეციის ამ ქალაქის საჭიდაო სარბიელზე ივლისის ბოლო რიცხვებში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. ჯერ იყო და ევროპის იუნიორმა „კლასიკოსებმა" დაიპყრეს ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა გულები. „კლასიკოსები" თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შეცვალეს და ისევ გაივსო პატარა დარბაზის ტრიბუნები.

მაყურებლების განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობდნენ ტყუპები — ანატოლი და სერგეი ბელოგლაზოვები სსრ კავშირიდან. ანატოლი ყველაზე მსუბუქ წონაში ასპარეზობდა, სერგეი კი — ერთი წონით მაღლა. ტყუპებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს და I ადგილები დაისაკუთრეს. გულშემატკივრებმა ტაშით დააჯილდოვეს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგომი ძმები.

საერთოდ, თავისუფალ ჭიდაობაში, ისევე როგორც კლასიკურში, ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა იუნიორებმა, რომლებმაც მიიღეს თასი გუნდური გამარჯვებისთვის (54 ქულა). II ადგილზე გასული ბულგარეთის გუნდი საბჭოთა ნაკრებს 7 ქულით ჩამორჩა. III ადგილი პოლონელ მოჭიდავეებს ხვდათ (20,5).

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მიიღეს: ა. ბელოგლაზოვმა (48 კგ.), ს. ბელოგლაზოვმა (52 კგ.), ა. მიშუროვმა (62 კგ.), მ. აბდულმუსლიმოვმა (68 კგ.), ა. სოლოვიოვმა (82 კგ.), ა. ბისულთანოვმა (100 კგ.). II საპრიზო ადგილებზე გავიდნენ და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ვ. იმერლიშვილმა (74 კგ.) და ვ. ბერომ (90 კგ.). გ. ბალდასარიანს (57 კგ.) და ნ. სკრიპკინს (მძიმე) ბრინჯაოს ჯილდოები გადაეცათ.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გუნდში უმედლოდ არავინ დარჩენილა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ფაქტიურად გაიმეორეს „კლასიკოსთა" წარმატება (იქაც ყველა საბჭოთა ათლეტი საპრიზო ადგილებზე გავიდა).

---

ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში შეტანილია ცვლილებები. მომავალი წლიდან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება არ მიენიჭებათ სსრ კავშირის ჩემპიონატში და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულებს.

სათანრიგო მოთხოვნებში არის მძიმე წონითი კატეგორიის ნორმატივები. დადგენილია სათანრიგო მოთხოვნები.

| | ატაცება | აკვრა | ორჭიდი |
|---|---|---|---|
| საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტ. | — | — | 380 |
| სპორტის ოსტ. | 132,5 | 170 | 302,5 |
| ოსტ. კანდიდატი | 125 | 162,5 | 287,5 |
| I თანრიგი | 117,5 | 152,5 | 270 |
| II თანრიგი | 102,5 | 135 | 237,5 |
| III თანრიგი | 85 | 115 | 200 |

## ძალოსანთა საყურადღებოდ!

შეიცვალა შეჯიბრების ზოგიერთი წესიც. წონითი კატეგორიები ასეთი იქნება: უმჩატესი (52 კილოგრამამდე), მჩატე (56 კგ-მდე), ქვემსუბუქი (60 კგ-მდე), მსუბუქი (67,5 კგ-მდე), ქვესაშუალო (75 კგ-მდე), საშუალო (82,5 კგ-მდე), პირველი ქვემძიმე (90 კგ-მდე), მეორე ქვემძიმე (100 კგ-მდე), პირველი მძიმე (110 კგ-მდე) მეორე მძიმე (110 კგ-ს ზევით).

და კიდევ, თუ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მიერ მოწყობილ საკავშირო შეჯიბრებაში დამყარდა სსრ კავშირის რეკორდი, ათლეტს და შტანგას არ აწონიან. გრიფი და შტანგის ყველა დისკო აიწონება შეჯიბრების დაწყებამდე, რაზედაც შედგება სათანადო აქტი.

## გამოვლინდნენ ჩემპიონები

ივლისის ბოლო დღეს მოსკოვის გარეუბანში გამოვლინდა ჩემპიონი სამჭიდში უფროსი ასაკის ცხენებით მოასპარეზეთა შორის. ოქროს დიდი მედალი პირველად მოიხვეჭა 34 წლის ვ. კალინინმა (რსფსრ, „ეროჟაი") — 139,32 საჯარიმო ქულა. როგორც ყოველთვის, სამჭიდელთა ასპარეზობის ბედი გადაწყდა ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო სახეობაში — საველე გამოცდაში. II ადგილზე გავიდა მოსკოველი არმიელი ვ. ლანიუგინი, რომელიც დაწინაურდა პირველი სახეობის შემდეგ. ორი სახეობის შემდეგ წინ იყო მ. იულდაშევი (უზბეკეთი, „პახთაქორი"), მაგრამ დასკვნით სახეობაში მან დამაჯერებლად ვერ იასპარეზა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უზბეკეთის „პახთაქორის" წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ცსკა-ს სპორტსმენები, ხოლო III — მოლდავეთის „კოლხოზნიკული".

ცხენის გაწვრთნაში „დიდი პრიზის" გათამაშებაში თავი ისახელა მოსკოველმა არმიელმა ი. კალიტამ, რომელმაც ოქროს დიდი მედალი მოიხვეჭა. მან 1229 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა მ. პეტუშკოვა — 1194 ქულა. ბრინჯაოს ჯილდო ლენინგრადელმა ბ. კიზიმოვმა დაიმსახურა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ცსკა-ს მხედრებმა, II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს „ეროჟაის" წარმომადგენლები, ხოლო III — „ბურევესტნიკის" ნაკრები.

ცხენის გაწვრთნაში „მცირე პრიზი" მოიგო კიზიმოვმა, ხოლო „საშუალო პრიზი" — პეტუშკოვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწრაფად, სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად...




ზ. ქორქია,
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი მსოფლიოს X ჩემპიონატზე

საოცარი დასაწყისი ჰქონდა ფინალურ მატჩს. ჰოლანდიელებმა ნელა გაითამაშეს ბურთი, ყველა მოთამაშემ მოპირდაპირე ნახევარზე გადაინაცვლა და მხოლოდ კრუიფი ჩამორჩა მათ. ჩამორჩა იმდენად, რომ სტოპერებზე უკან აღმოჩნდა, ყველაზე ახლოს თავის მეკარესთან. რატომ გააკეთა ეს კრუიფმა, ალბათ მარტო მან იცის, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ იგი ყველაზე უკან მყოფი მოთამაშე იყო გერმანელთა კარის მიმართ და აქ მიიღო გადაცემა. მიიღო და დაიძრა წინ.

არ ვიცი, რას შევადარო კრუიფის ეს რეიდი, რომელიც მან შეასრულა თვალის დახამხამებაში, როგორც ერთი მთლიანი, შეუჩერებელი, განუწყვეტელი მოძრაობა. მის გზაზე სულ ცოტა 4-5 გერმანელი მცველი იყო განლაგებული სრულ მზადყოფნაში, საბრძოლო პოზიციაში, ბურთის წასართმევად გამზადებული. კრუიფმა მათ შორის ჩაიქროლა ექსპრესივით, რომელიც „პატარა სადგურებზე" არ ჩერდება და თავისი სლალომი დაამთავრა მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე. დაამთავრა არა საკუთარი სურვილით, არამედ იმიტომ, რომ იგი მეკარე მაიერთან პირისპირ გადიოდა და ფოგთსმა სხვა საშუალება რომ ვერ ნახა, ფეხი გამოსდო მას.

კრუიფის ეს გარღვევა შეუდარებელი, ბრწყინვალე იყო მოულოდნელობით, სისწრაფით, სიმსუბუქით, ნამდვილი არტისტული ელეგანტობით. კრუიფი — ტანმაღალი, თხელი, ჭაბუკური აღნაგობის ათლეტი, როგორც დანა კარაქში ისე გავიდა გერმანელთა „ზიგფრიდის ხაზში". შედარებაზე თუ წავიდა საქმე, მე გამახსენდა პელეს ინდივიდუალური გარღვევა სსრ კავშირის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში 1965 წლის 4 ივლისს ლუჟნიკის სტადიონზე. რაღაც საერთო, დამახასიათებელი, ჭეშმარიტად დიდოსტატური მანერა, განუმეორებელი ხელწერა იგრძნობა ამ ორი გამოჩენილი ფეხბურთელის ზემოხსენებულ რეიდებში. პელემ მაშინ თვითვე გაიტანა გოლი, კრუიფმა კი ეს ვერ მოასწრო. იგი წააქციეს როგორც კი ფეხი შედგა საჯარიმო მოედანზე.

შემდეგ, მატჩის მეორე დღეს, თითქმის ყველა გაზეთმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა ჯ. ტეილორი ყველაზე გაბედული, მამაცი კაცი იყო სტადიონზე მყოფ 85.000 დამსწრეს შორისო, ვინაიდან იგი არც შეყოყმანებულა, არც შემდრკალა და კატეგორიული ჟესტით მიუთითა 11-მეტრიან წერტილზე. პენალტი!

პენალტი მე-2 წუთზე მასპინძელთა კარში, როცა შეგიძლია მცირეოდენ კომპრომისზე წახვიდე საკუთარ სინდისთან, „ვერ დაინახო" ის ერთი ნაბიჯი, რომელიც ფეხბურთელმა შედგა საჯარიმო მოედანზე და უშფოთველად, შარის თავიდან აცილების მიზნით, ასეთივე კატეგორიულობით დანიშნო საჯარიმო დარტყმა ხაზთან ახლოს. ცხვრებიც მთელი დარჩება და მგელიც — მაძღარი.

მაგრამ ტეილორი ასე არ მოქცეულა: მან ცალი ხელი პენალტის წერტილისკენ მიაშვირა, მეორე გერმანელებს გაუსავსავა ცხვირწინ — ზედმეტი ლაპარაკი არ გამაგონოთო, და შეუვალი პოზით დადგა იქ, სადაც მსაჯები დგებიან ხოლმე 11-მეტრიანის შესრულებისას.

ნეესკენსი გამოქანდა, ცრუ მოძრაობა შეასრულა და მკვეთრად, ზუსტად დაარტყა — 1:0. მე-2 წუთზე სტუმრები წინ გავიდნენ, მე-3 წუთზე კი გერმანელებმა დაიწყეს შეტევა, რომლის მსგავსს იშვიათად ნახავს კაცი ფეხბურთში. არა, ეს არ იყო შტურმი, რომელშიც თავქუდმოგლეჯილი მონაწილეობს ყველა — თავდამსხმელიც და მეკარეც, „დიდიც და პატარაც", როცა გოლის გატანის დაუოკებელი წყურვილი მოიცავს ყველას უკლებლივ, ყველა ცდილობს რაც შეიძლება ჩქარა, დაუყოვნებლივ გაიტანოს გოლი, გფრ-ის ნაკრები ამ მარცხის მიუხედავად მოქმედებდა როგორც იდეალურად აწყობილი მექანიზმი, რომლის თითოეული დეტალი მოქმედებდა ზუსტად იმ ფუნქციების შესატყვისად, რომლებიც მას ეკისრება, ყოველი რგოლი, ყოველი ფეხბურთელი აკეთებდა თავის საქმეს, არ ცდებოდა გეგმას და, ჩემი აზრით, როცა გუნდს შეუძლია ასეთ დროს, ანგარიშის გათანაბრებისთვის სწრაფვისას, არ დაკარგოს მთლიანობა, არ აჰყვეს შიშველ ემოციებს, არ აცდეს თავის რიტმს, თავის ნორმალურ თამაშს, იგი ჭეშმარიტად მაღალი კლასის გუნდია. გერმანელებმა კარგად იციან, რომ ყოველი მატჩი ძალზე ხანგრძლივია საიმისოდ, რომ შეცდომა დაუშვა და ამავე დროს ძალზე მოკლე ეს შეცდომა რომ გამოასწორო, ამიტომ თამაშობდნენ არა ხაჩქარევად, არამედ სწრაფად, სული კი არ ესწრაფოდათ, რაც შეიძლება მეტი ენერგია დაეხარჯათ მეტოქის კართან მიახლოებისთვის, ამას აკეთებდნენ გეგმაზომიერად, მოფიქრებულად, საქმის პროფესიული ცოდნით, უპანიკოდ. ეს იყო პირველხარისხოვან ფეხბურთელთა ტიტანური ბრძოლა დამორჩილებული ერთიან სამოქმედო გეგმას.

ამ შეუდარებელი სანახაობის შემყურეს გამახსენდა კომპოზიტორ ფერენც ლისტის წარწერა ერთ-ერთ მის ნაწარმოებზე, რომელიც ი. ილფსა და ე. პეტროვს აქვთ მოსწრებულად მოყვანილი თავიანთ წიგნში: ლისტს თურმე პირველ გვერდზე უწერია „სწრაფად", მეორეზე — „ძალიან სწრაფად", მესამეზე — „გაცილებით უფრო სწრაფად", მეოთხეზე — „სწრაფად, როგორც კი ეს შესაძლებელია" და, მაინც, მეხუთეზე — „კიდევ უფრო სწრაფად". აი, ასეთი თანმიმდევრობით უმატებდნენ სისწრაფეს და ტემპს გერმანელები, ზღუდავდნენ მოწინააღმდეგეს და არ აძლევდნენ ორგანიზებული კონტრშეტევების მიღების საშუალებას. მართალია, ამ ორმხრივ ბრძოლაში იყო ნერვიულობაც, წესის დარღვევაც, ტეილორს არაერთხელ დაჭირდა ყვითელი ბარათის ჩვენება, მაგრამ ეს გამოწვეული იყო არნახული დაძაბულობით, უკიდურესად გამწვავებული ატმოსფეროთი.

ჰოლანდიელებმა ვერ გაუძლეს ამ მძლავრ დაწოლას და 26-ე წუთზე თავიანთი კარის წინ მოცელეს შორი მანძილიდან გარღვევაზე გასული ჰოლცენბაინი. ტეილორს არც ამჯერად უყოყმანია — პენალტი. ბრაიტნერმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:1 და მერე, როცა მიწაზე მწოლიარე მიულერმა 43-ე წუთზე მხოლოდ მისთვის ჩვეული „სასწაულით" შეძლო მიმართულება შეეცვალა მარჯვენა ფლანგიდან ბონჰოფის მიერ მოწოდებული ბურთისათვის, გერმანელთათვის გაიხსნა გზა გამარჯვებისკენ — 2:1.

ფინალური მატჩის შემდეგ ბევრმა მიმომხილველმა გამოთქვა აზრი, რომ მეორე წუთზე გატანილმა ბურთმა ძალზე ცუდი სამსახური გაუწიაო ჰოლანდიის გუნდს. სხვათა შორის, ასეთივე შეხედულებისა იყო ჰოლანდიელთა მწვრთნელი რ. მიხელსიც, ხოლო კრუიფმა ამას დაუმატა — 30 წუთის განმავლობაში ჩვენს თავს არა ვგავდით, მოწაფეებივით ვთამაშობდითო.

საინტერესოა, რატომ უნდა გაეწია ცუდი სამსახური ჰოლანდიელებისთვის გოლს, რომელიც მათ დასაწყისში გაიტანეს? რატომ იმოქმედა მან გუნდზე უარყოფითად? ხომ არ უნდათ დაგვარწმუნონ იმაში, ჰოლანდიელები ადრე მიეცნენ თვითდამშვიდებას? ეს ხომ არასერიოზული, არაპროფესიული ლაპარაკია! მსოფლიო პირველობის ფინალში ყველაფერი მისხალ-მისხალაა გაანგარიშებული და აწონ-დაწონილი, მოულოდნელი რაა იმაში, რომ ადრევე დაწინაურდი და 1 გოლის ფორა მიიღე? ამან, პირიქით, მეტი დამაჯერებლობა, მეტი იმედი უნდა მისცეს გუნდს, შეუქმნას დარწმუნებული, აუღელვებელი თამაშის საშუალება. თუ ეს ასე არაა, ცუდად ყოფილა ფეხბურთში იმის საქმე, ვინც მოგებით იწყებს თამაშს და 0:0-ს ნაცვლად 1:0 აქვს აქტივში. ასეთ მსჯელობას რომ ავყვეთ, ნეესკენსს ერჩივნა არ გაეტანა პენალტი და ცაში ეტყორცნა ბურთი. განა მაშინ უფრო გულდაჯერებულად ითამაშებდნენ ჰოლანდიელები? ან ვინ გამოწერა ის რეცეპტი, რომ მე-2 წუთზე ნუ გახსნი ანგარიშს და სულ ცოტა ტაიმის შუამდე მაინც მოიცადეო! უბრალოდ, მარცხს გადაყრილი გერმანელები ისეთი სიძლიერით, ისეთი მონდომებით და, რაც მთავარია, ოსტატობით თამაშობდნენ, რომ პირდაპირ წალეკეს მოწინააღმდეგის რიგები. წაგებული ყოველთვის გაორმაგებული ძალით თამაშობს, ისევე, როგორც ჰოლანდიელებმა ითამაშეს მეორე ტაიმში, როცა ისინი თითქმის არ მოსცილებიან მასპინძელთა საჯარიმო მოედანს და გერმანელები იღბლად გადაურჩნენ სულ ცოტა 3-4 ნაღდ საგოლე მომენტს. გარდა იმისა, რომ მაიერმა ურთულეს სიტუაციებში იხსნა თავისი კარი, მიხელსის გუნდს ბედიც არ წყალობდა: რეპის, ნეესკენსის, კრუიფის, ვან ჰანეგემისა და სხვათა დარტყმული ბურთები რაღაც სანტიმეტრებით ცდებოდა ძელს, საკვირველი სიჯიუტით არ მიდიოდა ბადისკენ.

ვფურცლავ ფინალის ბლოკნოტს ნაჩქარევად შესრულებული ჩანაწერებით და ყოველ აბზაცში ვხვდები: გერმანელები გადაურჩნენ გოლს, ჰოლანდიელთა დარტყმა აცდა კარს, მაიერმა იხსნა გუნდი და ა. შ.

მაგრამ პირველ ტაიმში გფრ-ის გუნდი ბრწყინვალე იყო, შეუდარებელი. თითქოს გოლი არც გაუშვიათო, გერმანელები განაგრძობდნენ თამაშს უშფოთველად, შეუცდომლად, მეთოდურად და უკვე შუა ტაიმში, დაახლოებით მეთხუთმეტე-მეოცე წუთისთვის სრულ, აბსოლუტურ უპირატესობას მიაღწიეს მინდორზე. ეს ის პერიოდი იყო, რომელზეც კრუიფმა თქვა მოწაფეებს ვგავდითო.

მასპინძლებმა კარგად იცოდნენ, რომ ცალკეული ბრძოლის წაგება არ ნიშნავს ომის წაგებას, მათ ამავე ჩემპიონატში უკვე ჰქონდათ შემთხვევა, როცა დასაწყისში აგებდნენ თამაშს შვეციის გუნდთან და საბოლოოდ 2 ბურთის განსხვავებით გაიმარჯვეს და, საერთოდ, ძნელ ვითარებაში გერმანელებმა არ იციან ემოციებს აყოლა, არ იბნევიან, არ კარგავენ კონტროლს საკუთარ თავზე. ეს უძვირფასესი თვისებებია ფეხბურთში, ვინაიდან იგი გუნდს საშუალებას აძლევს არ გადაუხვიოს საერთო გეგმას, არ დააქუცმაცოს ძალები, თანმიმდევრულად, დაჯერებულად იბრძოლოს საერთო მიზნის მისაღწევად, გამოავლინოს საკუთარი პოტენციის მაქსიმუმი, ცალკეულ ეპიზოდებად არ დაშალოს მთლიანი თამაში.

ჩემპიონი, ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონი — ასეთი იყო პირველ ტაიმში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, რომელმაც ხელიდან გამოგლიჯა მეტოქეს უკვე მოპოვებული წარმატება და დაისაკუთრა ის, რისი ღირსიც იყო.

ფაქტი — ფაქტია! გერმანელებმა მიაღწიეს მიზანს და უპირველესნი გახდნენ პლანეტაზე, მაგრამ სათანადო უნდა მივუზღოთ მათაც, ვინც დამარცხდა გადამწყვეტ მატჩში. აი, ვინ უნდა იყოს ჩემპიონი — იტყოდით მთელი მეორე ტაიმის მსვლელობაში ჰოლანდიელთა შეუდარებელი, კომბინაციური, სწრაფი, ტემპიანი თამაშის შემყურენი.

მატჩის მერე ბევრი სინანულით იხსენებდა იმ გამოუყენებელ, მრავალრიცხოვან შესაძლებლობებს, რომლებიც ჰოლანდიის ნაკრებს ჰქონდა და კვლავ და კვლავ დავობდა ამ ორი ფინალისტის საერთო სიძლიერეზე, მათს საერთო პოტენციაზე. სხვათა შორის, ასეთი შეკითხვაც კი მისცეს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელს ჰ. შიონს პრეს-კონფერენციაზე: მოგვილოცავს, ეს კარგია ჩემპიონობა რომ მოიგეთ, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი ბედნიერად დაგიმთავრდათ, გულახდილად გვითხარით, ვინ უფრო ძლიერად მიგაჩნიათ — გფრ თუ ჰოლანდია.

შიონმა მოკლედ უპასუხა: ჰოლანდია რომ უფრო ძლიერი ყოფილიყო, ის მოიგებდაო.

დავა მუდამ შეიძლება ფეხბურთში, ყოველგვარი მოგება-წაგების შემთხვევაში, ასეთია ეს თამაში. აქ მარტო მომხდარი ფაქტი, გატანილი გოლი და მოპოვებული გამარჯვება არ წყვეტს სადისკუსიო საკითხს. ზოგჯერ მოვლენები, თქვენ წარმოიდგინეთ, ეწინააღმდეგებიან ფაქტებს, თუმცა ბოლო სიტყვა მაინც ფაქტებს ეკუთვნის, ისინი წყვეტენ ყველაფერს.

ეჭვის შეტანა გერმანელთა გამარჯვებაში, მათი ჩემპიონობის კანონზომიერებაში, ჩემი აზრით, არ იქნებოდა სწორი. მეტიც: ვინც ახირებით, კერპად ამტკიცებს, რომ გფრ-ის ნაკრებმა იღბლად, საკუთარი კედლების შემწეობით მოიგო ფიფა-ს თასი, ან კარგად არ იცნობს ამ გუნდს, ან მოჭარბებული სიმპათიითაა განწყობილი ჰოლანდიელთა მიმართ.

გერმანელთა ახლანდელი გუნდი რამდენიმე წელია იქმნება და ყალიბდება დიდი დაკვირვებით, ყურადღებით, გულმოდგინედ, საქმის სრული ცოდნით. გაიხსენეთ მისი სტაბილური, მაღალი შედეგები ბოლო მსოფლიო ჩემპიონატებში: 1954 წელს — I ადგილი, 1958 წელს — IV, 1966 წელს — II, 1970 წელს—III, მხოლოდ 1962 წელს ვერ მიაღწია მან ნახევარფინალს. გაიხსენეთ, რა ბრწყინვალებით მოიგეს გერმანელებმა ევროპის ჩემპიონობა 1972 წელს. ხანდაზმულობის გამო ნაკრებს ტოვებდნენ ფ. ვალტერი, რანი, ლიბრიხი, მორლოკი, შეფერი, ზეელერი, შნელინგერი, მათს ადგილს კი იკავებდნენ ახალი ვარსკვლავები — ბეკენბაუერი, ნეცერი, ოვერატი, მიულერი, ბრაიტნერი, მაიერი და სხვანი, გუნდი კი არ სუსტდებოდა, ძლიერდებოდა, მასთან ერთად მაღლდებოდა საერთო კლასი, გამოცდილება, ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა. მარტო ამ უკანასკნელი თვისებით გერმანელები გაცილებით უფრო მაღლა დგანან ჰოლანდიელებზე.

შესამჩნევია ერთი რამ: ყველა ცნობილი სპეციალისტი, ყველა ავტორიტეტული მიმომხილველი დიდად აქებს ჰოლანდიელებს, ცამდე აჰყავს მათი თამაშის კლასი და ნოვატორული ხელოვნება, მაგრამ არც ერთს არ უთქვია, რომ გფრ-ის გამარჯვებაში რამე იყო საჭოჭმანო, ან გარეშე პირობების ხელშეწყობით იქნა იგი მოპოვებული.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 147, 148, 149, 150, 151.



ს უ რ ა თ ზ ე: „გოლების გატანის მექანიზმი" — ასე უწოდეს გფრ-ის ცენტრალურ თავდამსხმელს მიულერს, რომელიც მუდამ მზადაა შეასრულოს თავისი გადამწყვეტი დარტყმა. მიულერი ფინალურ მატჩში ჰოლანდიელთა წინააღმდეგ კარისკენ აგზავნის ბურთს.



აი, ის მომენტი, როცა ფინალური მატჩის 26-ე წუთზე დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, ამჯერად უკვე ჰოლანდიელთა კარში, საჯარიმო მოედანზე გასული ჰოლცენბაინი აკრძალული ილეთით მოცელა მცველმა იანსენმა. პენალტი ეჭვს არ იწვევდა. ბრაიტნერის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 1:1.

## ქრონიკა

**ჰელსინკი, 1 აგვისტო.** ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში შვედმა ა. ჰერდერუდმა წინაღობებით 3000 მეტრის გავლას 8 წუთი და 14,2 წამი მოანდომა და ევროპის რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდიც მას ეკუთვნოდა.

**მოსკოვი, 1 აგვისტო.** მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ოდესელმა ტყვიის მსროლელმა ი. ჟელეზნიაკმა ნებისმიერი შაშხანით „გაქცეულ ირემზე" შეჯიბრებაში 245 ქულა დააგროვა და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.

# სან-ხუანის ტურნირის დეტალები

ორიოდე კვირის წინათ სან-ხუანში (პუერტო-რიკო) დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან ამ ჩემპიონატის შედეგები, უფრო სწორად, იმ რვა გუნდის ამბები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში.

მაგრამ ტურნირში კიდევ 6 კოლექტივი გამოდიოდა. ამ გუნდებმა ფინალში თამაშის უფლება ვერ მოიპოვეს, თუმცა ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. 15 ივლისს ცნობილი გახდა მეორე ფინალური ჯგუფის შედეგები და საბოლოოდ განაწილდა თოთხმეტივე ადგილი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში გთავაზობთ IX-XIV ადგილებზე გასული გუნდების სატურნირო მონაცემებს.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 5 | 5 | 0 | 482—428 | 10 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 4 | 1 | 517—451 | 8 |
| არგენტინა | 5 | 2 | 3 | 517—471 | 4 |
| ავსტრალია | 5 | 2 | 3 | 466—441 | 4 |
| ფილიპინები | 5 | 2 | 3 | 474—517 | 4 |
| ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა | 5 | 0 | 5 | 375—523 | 0 |

VII მსოფლიო ჩემპიონატის საბოლოო შედეგები ასეთია: 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. აშშ, 4. კუბა, 5. ესპანეთი, 6. ბრაზილია, 7. პუერტო-რიკო, 8. კანადა, 9. მექსიკა, 10. ჩეხოსლოვაკია, 11. არგენტინა, 12. ავსტრალია, 13. ფილიპინები, 14. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატი ასახელებს საუკეთესო სნაიპერს, რომელსაც გადაეცემა ხოლმე კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური ჯილდო. გამონაკლისს არც სან-ხუანის ტურნირი წარმოადგენდა, მაგრამ სანამ გავაცნობდეთ VII ჩემპიონატის სნაიპერთა სიას, გადავხედოთ წინა ჩემპიონატებში პრიზის მფლობელთა ვინაობას:

I ჩემპიონატი (1950 წ. ბუენოს-აირესი), ფურლონგი (არგენტინა) — 55,

II ჩემპიონატი (1954 წ. რიო-დე-ჟანეირო), მოგლი (ურუგვაი) — 139,

III ჩემპიონატი (1959 წ. სანტიაგო), ვლამირი (ბრაზილია) — 116,

IV ჩემპიონატი (1963 წ. რიო-დე-ჟანეირო), პეტროვი (სსრ კავშირი) — 111,

V ჩემპიონატი (1967 წ. მონტევიდეო), ლოპატკა (პოლონეთი) — 114,

VI ჩემპიონატი (1970 წ. ლიუბლიანა), ზიდეკი (ჩეხოსლოვაკია) — 122.

სან-ხუანის ტურნირის მთავარი სნაიპერის, ესპანელი ვ. ბრაბენდერის მაჩვენებელი (146) საუკეთესოა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბრაბენდერმა თავის კოლექტივს ქულათა მთელი მარაგის ერთი მეოთხედი მოუტანა. აი, როგორია VII ჩემპიონატის სნაიპერთა სია:

ვ. ბრაბენდერი (ესპანეთი) — 146,
ა. ურგელესი (კუბა) — 139.
დ. კიჩანოვიჩი (იუგოსლავია) — 137.
ჯ. ლუკასი (აშშ) — 133.
ლ. ბიორდენი (აშშ) — 132.
ა. სალნიკოვი (სსრ კავშირი) — 131,

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტების მიერ მოწყობილმა რეფერენდუმმა დაამტკიცა მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელთა სია სამი ამპლუის მოთამაშეებში — მცველებში, გარემარბებში და ცენტრალურ თავდამსხმელებში. მიღებულ ხმათა რაოდენობით ხუთეულებში მოხვდნენ:

**გარემარბები**

ვ. ბრაბენდერი (ესპანეთი) — 32 ხმა.
ა. სალნიკოვი (სსრ კავშირი)—25.
ა. ბელოვი (სსრ კავშირი) — 14,
დ. კიჩანოვიჩი (იუგოსლავია)—11,
ტ. ჯერარდი (აშშ) — 11,

ზემოჩამოთვლილ მოთამაშეთა გარდა ხმები მიიღო: სამმა ამერიკელმა, ორმა იუგოსლაველმა, თითო კუბელმა, კანადელმა და პუერტორიკოელმა კალათბურთელმა.

**[illegible]**

ა. ბელოვი (სსრ კავშირი) — 36.
კ. ჩოსიჩი (იუგოსლავია) — 16.
ლ. ბიორდენი (აშშ) — 2.

თითო ხმა აქვთ მიღებული კ. ლაიკს (ესპანეთი), ზ. იელოვაცს (იუგოსლავია) და რ. კელის (აშშ).

**მცველები**

ჯ. ლუკასი (აშშ) — 49.
დ. კიჩანოვიჩი (იუგოსლავია)—21.
ზ. სლავიჩი (იუგოსლავია) — 14.
ა. სალნიკოვი (სსრ კავშირი)—9.
ვ. ბრაბენდერი (ესპანეთი) — 4.

ამ სპორტსმენთა გარდა სიაში მოხვდა ოთხი ამერიკელი, სამი საბჭოთა (ს. ბელოვი ი. ედეშკო, მ. მილოსერდოვი) და ერთი იუგოსლაველი კალათბურთელი.

# ახალი სამყაროს ახალი გატაცება

დღეს ამერიკელები უკვე აღარ კითხულობენ ირონიულად, ნეტავ რა ნახეს ევროპელებმა ამ ფეხბურთშიო. ახლა ისინიც გაიტაცა სპორტის ამ ლამაზმა სახეობამ: როგორც ამერიკის სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ, ბოლო წლებში მათს ქვეყანაში „ფენომენალურად გაიზარდა ევროპული ფეხბურთის გულშემატკივართა რიცხვი".

კაცმა რომ თქვას, ევროპული ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი მოვლენა არ არის. ამ ქვეყანაში ას წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყეს ფეხბურთის თამაში. მართალია, ამ სახეობით ბოლო დრომდე გატაცებული იყვნენ ძირითადად ევროპიდან ჩასული ემიგრანტები. ამავე დროს, სწორედ რეგბისთან შერწყმული ევროპული ფეხბურთი დაედო საფუძვლად შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას — ამერიკულ ფეხბურთს.

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ევროპულ ფეხბურთს თამაშობენ მოსწავლეები დაახლოებით 4000 დაწყებითს სკოლაში, სადაც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ ამ სახეობის შესახებ საერთოდ არაფერი იცოდნენ. იმ საშუალო სკოლების რიცხვი, რომელთაც თავიანთი ფეხბურთელთა გუნდები ჰყავთ, 1965 წლის შემდეგ თითქმის ორჯერ გაიზარდა და უკვე 2600-ს გადააჭარბა. ამასთან, დღეს ამერიკის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ნახევარზე მეტს აქვს ადმინისტრაციის მიერ მოწონებული „ფეხბურთის გაწვრთნის პროგრამა".

თავდაპირველად სტუდენტთა გუნდებში ჭარბობდნენ უცხოელები — პირველ ყოვლისა ევროპისა და ლათინური ამერიკის შვილები. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ამას წინათ სპორტული მიმომხილველი პოლ ჭარდნერი წერდა, ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სპორტი გახდა. თანდათან იზრდება ადგილობრივი გუნდების თამაშის კლასიც.

მარშან უძლიერესი აღმოჩნდა პენსილვანიის უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც აზრიანი, სწრაფი, სანახაობრივად მიმზიდველი თამაშით მოხიბლა მაყურებელი. ამასთან, გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ორი უცხოელი იყო.

საინტერესოა ისტორია ამერიკის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ფედერაციისა, რომელიც სამხრეთ კალიფორნიაში შეიქმნა. 1965 წელს ამ ფედერაციაში შედიოდა 9-დან 12 წლის ფეხბურთელთა სულ ცხრა კოლექტივი, დღეს კი იგი სამი ასაკობრივი ჯგუფის 800 გუნდს და 14000 ფეხბურთელს აერთიანებს. სპეციალისტების აზრით, უახლოეს რამდენიმე წელიწადში მათი რიცხვი კიდევ ორჯერ გაიზრდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრს აინტერესებს, რატომ გავრცელდა ასე ფართოდ ფეხბურთი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. ხშირად ასეთ პოპულარობას იმით ხსნიან, რომ ფეხბურთი ყველასთვის მისაწვდომი თამაშია, სათამაშო მოწყობილობა დიდ ეკიპირება ძვირი არ ჯდება, ნაკლებია სპორტსმენთა დაშავების საფრთხე.

ამერიკის ბევრმა ახალგაზრდულმა გუნდმა უკვე იმოგზაურა ლათინურ ამერიკასა და ევროპაში, გამარჯვების სიტკბოც იგემა და მარცხის სიმწარეც.

... ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ვაშინგტონში უყურებდნენ მხოლოდ ერთ ტელეთეატრში, სადაც კონდიციონერიც არ მუშაობდა. მიუხედავად დიდი სიცხისა და დახუთული ჰაერისა, თეატრში 5000-ზე მეტი მაყურებელი მივიდა.

ლ. გუზი.
(საკუთარი კორ.).
ვაშინგტონი.

## ხალხმრავალი სტარტები

სუდანში ჩატარდა პირველი დიდი, მასობრივი ველორბოლა მარშრუტით ხასიხეისა — ხართუმი. შეჯიბრება მოაწყო მთავრობის გაზეთმა „ალაიამმა".

17-კილომეტრიანი დისტანცია პირველმა გადალახა ქალაქ მალაკასის წარმომადგენელმა, 30 წლის სამხედრო მოსამსახურემ ჯონ ნურდმა, რომელიც საბჭოური წარმოების ველოსიპედით ასპარეზობდა.

ვ. ლებედევი.
(საკუთარი კორ.).
ხართუმი.

# გამარჯვება და...

ბობი რიგსის სახელს კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები, რასაც დიდად უწყობს ხელს ამ ჩოგბურთელის ექსტრავაგანტური თავგადასავლები კორტებზე. ამ ცოტა ხნის წინათ მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაემარცხებინა ბილი ჯინ კინგი, წარსულში უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი, რათა დაემტკიცებინა სპორტში კაცის უპირატესობა და... ბრწყინვალედ დამარცხდა. ამ მარცხს საინტერესო შედეგები მოჰყვა. ამერიკელი ქალები ჩოგბურთის კორტებს მიაწყდნენ.

ნიუიორკელმა ჟურნალისტმა ქალმა გრეის ლიხტენშტეინმა გამოსცა წიგნი, რომელშიც სცადა დაეხასიათებინა აშშ-ს ქალთა სპორტი კინგის გამარჯვებიდან განვლილი ერთი წლის შემდეგ. თუ მანამდე ამერიკელი გოგონები ხშირად ვერ ახერხებდნენ გზის გაკაფვას სპორტში — სტადიონებსა და მოედნებზე მათთვის ადგილი არ რჩებოდა — ახლა ისინი შეუპოვრად უტევენ სპორტულ ბაზებს. ჩოგბურთელ ქალთა მატჩების პოპულარობამ ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა. აღმოჩნდა, რომ მოწინავე ჩოგბურთელი ქალები თითქმის უნაკლოდ თამაშობენ ტექნიკის თვალსაზრისით. მათი დარტყმის ძალა და თამაშის სისწრაფე ნაკლებია, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველ მოძრაობას მაყურებელი კარგად ხედავს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ქალები უფრო საინტერესოდ თამაშობენ ტაქტიკის თვალსაზრისით და მათი მოძრაობებიც ბევრად უფრო ელეგანტურია.

ლიხტენშტეინი წერს, რომ ზღუდეები ინგრევა. ბევრმა ამერიკელმა მაყურებელმა ახლა აღმოაჩინა ქალთა მძლეოსნობა. დღეს ამერიკელები მეტ ინტერესს იჩენენ ქალთა კალათბურთისა და ფრენბურთისადმი.

ვ. კუკუშკინი.

საზღვარგარეთის ამბები





# ნეპტუნი აღლუმს ღებულობს

ვისაც ეკვატორი გადაულახავს, მან იცის, რას ნიშნავს ზღვისა და ოკეანეების მბრძანებლის ნეპტუნის გაცნობა. ჯერ აკვარელით „გაგაფერადებენ", მერე წყალში „გაგბანენ"... მაგრამ კვირას, 28 ივლისს, ნეპტუნი უჩვეულოდ კეთილი და დამყოლი გახლდათ. ჯერ ერთი, დღესასწაული იყო — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე; მეორეც, დაიღალა მოხუცი, სანამ ყველას მიულოცავდა, — სახუმარო მანძილი კი არ გაუვლია: ვლადივოსტოკი, ბალტიისკი, სევასტოპოლი, სევერომორსკი.

ნეპტუნი კვირას მოსკოველთა სტუმარიც იყო. იგი თავისი ამალის — კარის მკურნალის, დალაქის, მცველებისა და სირინოზების თანხლებით ავიდა „დინამოს" საწყლოსნო სტადიონის ცენტრალური ტრიბუნის წინ დადგმულ ფიცარნაგზე.

აბა რა ფლოტის დღესასწაული იქნებოდა ბაგირის გადაძალვაში შეჯიბრების გარეშე! და ბაგირის გადაძალვა დაიწყეს... პატარა ნავებმა. აზარტული შეჯიბრება იყო! თვით ნეპტუნის ამალაშიც კი გულშემატკივრები განაკებად დაიყვნენ. სირინოზებმა გამარჯვებული ნავის მეთაური, მიჩმანი იური ლუჩენკოვი მომხიბვლელი ღიმილით დააჯილდოვეს.

მერე ტრიბუნების ახლოს ტალღებზე სკუტერებმა ჩაიქროლეს. შეჯიბრება დაიწყეს წყალსამოტორო სპორტის ოსტატებმა. რბოლა მოიგო ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ი, ბოგდანოვმა.

... პირდაპირ ტრიბუნებზე თავდაყირა დაეშვა ერთძრავიანი თვითმფრინავი. კიდევ წამი, და იგი უცებ ისევ ჰაერში აიჭრა — ცნობილი „მკვდარი მარყუჟი" შესრულა. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა უმაღლეს პილოტაჟში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ეგოროვმა მაყურებლებს თავისი ოსტატობა უჩვენა.

მერე კი მაყურებლებმა წყალზე მოთხილამურეთა „უმაღლესი პილოტაჟი" ნახეს.

შესანიშნავად მოწყობილი დღესასწაული ერთიან ესტაფეტას ჰგავდა. ერთმანეთს ცვლიდნენ ტანმოვარჯიშეები, წყალში მხტომელები, აფროსნები. ზეიმი ლამაზი ფეიერვერკით დამთავრდა.

ვ. ვერბიცკი.

* * *

სურათებზე: ფრანის „მგზავრი" — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ე. ბოგნარტი; სკუტერებით რბოლა.

ა. შევიჩის ფოტოები.

საქვეყნო მოვლენები

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ფეხბურთი: საქართველოს თასი. 8 აგვისტო. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 17 ს. 30 წ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-53-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04698